# ახალი განათლება

25.06-01.07.2020

№23 (897) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge




## გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევის შესაძლებლობა სკოლებს 5 ივლისის ჩათვლით აქვთ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი დასრულდა.

**✓ გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევის შესაძლებლობა სკოლებს 5 ივლისის ჩათვლით ეძლევათ, რის შემდეგაც ახალი სახელმძღვანელოები დაიბეჭდება, ყველა საჯარო სკოლაში დარიგდება და თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით.**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის ბრძანების საფუძველზე, მერვე კლასის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი მნიშვნელოვანი სიახლეებით წარიმართა:

⇨ შეფასების პირველი ეტაპის გადალახული სახელმძღვანელოების ავტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედროდნენ რეცენზენტებს და, გარდა წერილობით მიღებული შენიშვნებისა და წინადადებებისა, მათგან უშუალოდ მიეღოთ დეტალური რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სახელმძღვანელოების გასაუმჯობესებლად;

⇨ ხარისხის გაზრდის მიზნით, აიწია გადასალახი ბარიერი და ნაცვლად 79%-ისა, წელს, 90%-ზე მეტი გახდა;

⇨ ხარისხის სასარგებლოდ შეიცვალა ხარისხისა და ფასის წონის თანაფარდობა სახელმძღვანელოს საბოლოო ქულის გამოყვანისას (მანამდე თანაფარდობა იყო: 90% – ხარისხი და 10% – ფასი, წელს არის: 95% – ხარისხი და 5% – ფასი);

⇨ გაორმაგდა საბაზისო და ელექტრონული რესურსისთვის გასაცემი ერთჯერადი ჰონორარები; ასევე, გაიზარდა მოსწავლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლარისთვის გასაცემი ჰონორარი.

სახელმძღვანელოებს აფასებდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები; შემფასებელთა ჯგუფში შედიოდნენ როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლები, ასევე აკადემიური წრის წარმომადგენელი, კურიკულუმის ექსპერტი, ფსიქოლოგი, ფილოლოგი და სპეციალისტი ადამიანის უფლებათა მიმართულებით.

სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლობით, გრიფირების პროცესში, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, ჩაერთვნენ სპეციალისტები, რომლებმაც სახელმძღვანელოები შეაფასეს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: რამდენადაა დაცული გენდერული ბალანსი ტექსტებსა და ილუსტრაციებში; რამდენად თავისუფალია სახელმძღვანელო სტერეოტიპული დამოკიდებულებისგან, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული ელემენტებისგან; რამდენადაა გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების პრინციპები და სხვა.

სხვადასხვა საგანზე გაკეთებული 58 განაცხადიდან, საბოლოოდ, გრიფი 30-მა სახელმძღვანელომ მიიღო. გრიფირებული სახელმძღვანელოები ვერ შეირჩა შემდეგ საგნებში: გეოგრაფია (VIII კლასი); რუსული (VIII კლასი); ქართული, როგორც მეორე ენა (VII კლასი).

**✓ იმ საგნებში, რომელზეც განაცხადები არ შემოსულა ან ვერ შეირჩა, მომავალ წელს, IX კლასის სახელმძღვანელოებთან ერთად, გრიფირება თავიდან გამოცხადდება.**

ელექტრონული რესურსების გაძლიერების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის თანამშრომლობა გრძელდება. ამ ეტაპზე, გამომცემლობების უმრავლესობამ გრიფირებული ელექტრონული სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის დროებით ხელმისაწვდომი გახადა.



## აკაკი 180



*✓ იმ თავითვე, მესამოცე წლებში მე ვნატრობდი და ველოდი, რომ მომავალი წარმოშობდა დემოკრატიას, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ იმისთანებს კი არა, როგორიც დღეს ზოგიერთები არიან, მხოლოდ სიტყვით და არა საქმით, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კუჭზე ფიქრობენ, თავს იკატუნებენ და ქვეყანას კი ამადლიან, „ჩვენ გამოვაღვიძეთ ხალხი, ჩვენ შევქმენით დრო" და სხვანი, რომ წარამარად გაიძახიან, ეს სულ ტყუილებია!..*

*✓ იცოდეთ თქვენი პირადი ღირსებით მოპოვებული პატივი ყველა დიდებას აღემატება. შეიძლება სხვაგან, სხვა ადგილზე დიდი კაცები გახდეთ და დიდი პატივისცემაც მოიპოვოთ, მაგრამ ის პატივისცემა თქვენი კი არა, თქვენი ადგილისაა. იქ პატივს სცემენ თქვენს ადგილს და არა თქვენ.*

*✓ სამი რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული. სამი რამ ამხიარულებს კაცს: საიდუმლო ტრფიალი, მოვალეების გასტუმრება და მონობიდან თავის გამოხსნა. სამი რამ ჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავ.*

# „დიოგენე“ წარმოგიდგენთ VIII კლასის ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს

## 1. ქართული ენა და ლიტერატურა




სახელმძღვანელოს ნახვა და გადმოწერა შეგიძლიათ აქ: https://bit.ly/2YnRNez

**სახელმძღვანელოს ავტორები:**

**ლია თუშური** – ქართული ენისა და ლიტერატურის და ქართულის, როგორც მეორე ენის, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, თბილისის 173-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

**ნინო შარაშენიძე** – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური დოქტორი. ექსპერტი ქართული ენის სწავლების საკითხში, ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი.

**ჯუანშერ წიქარიშვილი** – ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქართულის VII და VIII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების თანაავტორი.

**ლალი დალაქიშვილი** – ბოლნისის N 1 საჯარო სკოლის კონსულტანტ/მასწავლებელი.

## 2. მოქალაქეობა




სახელმძღვანელოს ნახვა და გადმოწერა შეგიძლიათ აქ: https://bit.ly/3hSH8Qw

**სახელმძღვანელოს ავტორები:**

**სოფიო ბაჩილავა** – სკოლა „ოპიზას“ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, პროექტ „ტელესკოლის“ მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის თბილისის რეგიონალური საბჭოს წევრი. 2013-2017 წლებში სასკოლო სამოქალაქო განათლების კლუბების კოორდინატორი.

**დავით ლოსაბერიძე** – დოქტორი ისტორიაში, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის გამგეობის თავმჯდომარე, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

## 3. ფიზიკა




სახელმძღვანელოს ნახვა და გადმოწერა შეგიძლიათ აქ: https://bit.ly/37OxYA2

**სახელმძღვანელოს ავტორი:**

**ქეთევან ტატიშვილი** – ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, რამდენიმე ტრენინგ-მოდულის თანაავტორი, ბუნების, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელოების, საატესტატო გამოცდებისთვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი.

## 4. ისტორია




სახელმძღვანელოს ნახვა და გადმოწერა შეგიძლიათ აქ: https://bit.ly/3hRG8MA

**სახელმძღვანელოს ავტორები:**

**ნატა ახმეტელი** – „ნიუტონის თავისუფალი სკოლის“ პედაგოგი, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის გამგე. წლების განმავლობაში იყო მასწავლებლის სახლის ტრენერი. ავტორი ისტორიის სასკოლო, ასევე საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოებისა.

**ბესიკ ლორთქიფანიძე** – აკადემიური დოქტორი ისტორიაში, არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გ. რამიშვილის სახელობის ქ. თბილისის №20 საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი, ავტორი ისტორიის სასკოლო, დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოების და 50-მდე სამეცნიერო პუბლიკაციისა.

**არჩილ თაბუკაშვილი** – მედიევისტიკის მაგისტრი, ნიუტონის თავისუფალი სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, განათლების ცენტრ „რენომეს“ ისტორიის ტრენერი, ააიპ „სასკოლო განათლების ტრენინგ ცენტრის“ დამფუძნებელი დირექტორი.

**ნათია ფირცხალავა** – საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ევროპული სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ისტორიის მასწავლებელთა ტრენერი, ევროკლიოს წევრი.

## 5. ხელოვნება




სახელმძღვანელოს ნახვა და გადმოწერა შეგიძლიათ აქ: https://bit.ly/3hQDzdW

**სახელმძღვანელოს ავტორები:**

**ნანა კუნჭულია** – იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი, ავტორი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გრიფირებული სახელმძღვანელოებისა პირველიდან მეათე კლასამდე. წლების განმავლობაში იყო თბილისის მასწავლებელთა გადამზადებისა და დახელოვნების ინსტიტუტის ტრენერი.

**მაია მეხაშიშვილი** – თბილისის კლასიკური გიმნაზიის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი, ავტორი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გრიფირებული სახელმძღვანელოებისა პირველიდან მეათე კლასამდე.

**ნინო მიქაბერიძე** – სკოლა IGS-ის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი, ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელი. ავტორი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გრიფირებული სახელმძღვანელოებისა პირველიდან მეათე კლასამდე.

**მე-8 კლასის სხვა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/311rfBI**

მოგესალმებით,

გამომცემლობა **„საქართველოს მაცნე“** წარმოგიდგენთ 2020 წელს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ჩვენი წიგნები შეგიძლიათ იხილოთ გამომცემლობა საქართველოს მაცნეს ვებ-გვერდზე

http://saqmatsne.ge/ გაეცანით მათ და გააკეთეთ თქვენი არჩევანი.

ინფორმაციისთვის მოგვწერეთ sakmacne@gmail.com ან ჩვენს Facebook გვერდზე https://www.facebook.com/Saqartvelosmatsne/.

## ჩვენი სახელმძღვანელოები და ავტორები:




1. მუსიკა 8 კლასი - ლია სულაქველიძე.
2. ფიზიკა 8 კლასი - მერაბ ტუღუში, თემურ შენგელია, თეიმურაზ შენგელია, გიორგი ლომიძე.
3. ქიმია 8 კლასი - თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი.

ჩვენი სახელმძღვანელოების უკეთ გაცნობის და მომდევნო თანამშრომლობის მიზნით ჩვენი ავტორები ატარებენ სახელმძღვანელოების ონლაინ პრეზენტაციას. გიგზავნით ონლაინ შეხვედრების გრაფიკს და ლინკს.

ქიმია: პარასკევი 26 ივნისი 12:00სამშაბათი 30 ივნისი 12:00

ფიზიკა: ოთხშაბათი 24 ივნისი 16:00პარასკევი 26 ივნისი 16:00

მუსიკა: პარასკევი 26 ივნისი 14:00სთ.

https://us02web.zoom.us/j/8199552080?pwd=OHA2K2RiUVVkRmo5N3V1WldTL2RYUT09Meeting ID: 819 955 2080 Password: 154783




შეხვედრასთან დაკავშირებით დარეკეთ ნომერზე 568105467.

აქვე გიგზავნით 8 კლასის ყველა სახელმძღვანელოს ლინკს სათითაოდ, რომლებიც წარმოდგენილია ჩვენს ვებ გვერდზე

ფიზიკა VIII კლასი : https://saqmatsne.ge/%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%96%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90-8-%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%98/

მასწავლებლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Fiz_08_teach.pdf

მოსწავლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Fiz_08_stud-1.pdf

ქიმია VIII კლასი: https://saqmatsne.ge/%e1%83%a5%e1%83%98%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%90-8-%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%98/




მასწავლებლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Qimia_08_teach.pdf

მოსწავლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Qimia_08_stud.pdf

მუსიკა VIII კლასი: https://saqmatsne.ge/%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90-8-%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%98/

მასწავლებლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Mus_08_teach.pdf

მოსწავლის წიგნი: http://saqmatsne.ge/wp-content/uploads/2020/06/Mus_08_stud.pdf

გამომცემლობა “საქართველოს მაცნე”
http://saqmatsne.ge

პანდემია და ამერიკული განათლება

# კონკრეტული მიდგომის არჩევამდე...

**_პანდემიის პირობებში, სახელმწიფოებისთვის, განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა, ცხადია, ჯანდაცვის გამოწვევების შემდეგ. ქვეყნებმა სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები გამოიყენეს, საკუთარი შესაძლებლობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დისტანციურ სწავლებაზე გადასაწყობად. ქეთი ჩაჩხიანი, განათლების პოლიტიკის პროგრამის დოქტორანტი და მკვლევარი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გვიზიარებს თუ როგორ წარიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო განათლება პანდემიის პირობებში და როგორ ემზადებიან არიზონას სკოლებში მომავალი სასწავლო წლისთვის – რა შესაძლო სცენარებს განიხილავენ. ინტერვიუში, ასევე, წაიკითხავთ მის მიერ ქართული სასკოლო განათლების შეფასებასა და მოსაზრებებს იმ მთავარი ხელის შემშლელი პირობის შესახებ, რომელიც, შესაძლოა, მომავალი დაგეგმარების თვალსაზრისით გაჩნდეს._**



**ქალბატონო ქეთი, პირველ რიგში, დავიწყოთ ინფორმაციით, რა მდგომარეობაა, დღევანდელი მონაცემებით, არიზონაში შეზღუდვების მოხსნის შემდეგ?**

ამერიკაში კორონა ვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნა აპრილის ბოლოდან დაიწყო. არიზონას შტატში ეს გადაწყვეტილება 15 მაისიდან შევიდა ძალაში. სამწუხაროდ, შეზღუდვების მოხსნისთანავე დაიწყო კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის სწრაფი ზრდა. ივნისის შუა რიცხვებში ისეთი მაღალი მაჩვენებელიც კი დაფიქსირდა, როგორიცაა დღეში 2400 ახალი ინფიცირებული. ეს რიცხვი 5-ჯერ მაინც აღემატება 15 მაისამდე, საშუალოდ დაფიქსირებულ, დღიური შემთხვევების რაოდენობას. არიზონაში მოვლენების ასეთი განვითარება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მთავარი გამოწვევა სწორედ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ დგება და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება მხოლოდ სიფრთხილითა და საზოგადოებრივი ჰიგიენური წესების მკაცრი დაცვით არის შესაძლებელი.

**ძალიან საინტერესოა, გაგვიზიაროთ როგორია ამერიკული სასკოლო განათლება პანდემიის პირობებში: ძირითადი ორიენტირები. დისტანციური სწავლის რა განსხვავებული მოდელები აირჩიეს ამერიკულმა სკოლებმა და როგორ მოარგეს ეს მიდგომები წინასწარ გაანალიზებულ საჭიროებებსა და სპეციფიკას?**

მოგეხსენებათ, რომ ამერიკა ძალიან დიდი ქვეყანაა, 50 შტატში 130 000-ზე მეტი სკოლაა, განსხვავებული სპეციფიკითა და საჭიროებით. ამიტომ სხვადასხვა შტატმა თუ სასკოლო ოლქმა დისტანციური სწავლების სხვადასხვა მიდგომა აირჩია. **კონკრეტული მიდგომის არჩევამდე მაქსიმალურად საფუძვლიანად შეისწავლეს და გააანალიზეს ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსწავლეთა წვდომა კომპიუტერებსა და ინტერნეტზე,** მათი ძირითადი კონტინგენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ოჯახებიდან მოსალოდნელი მხარდაჭერა, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა სკოლისთვის, ასევე დისტანციური სწავლებისათვის მასწავლებლების მზაობა მეთოდოლოგიური კუთხით. ამ ფაქტორების ანალიზის შემდეგ, ზოგიერთმა სასკოლო ოლქმა მიიჩნია, რომ პანდემიამდე არსებული სასწავლო გეგმის შენარჩუნება არარეალისტური მიზანი იქნებოდა. ამიტომ მათ პრინციპულად თქვეს უარი, პანდემიის პირობებში, ახალი სასწავლო მასალის დაფარვაზე და ძირითად მიზნად განვლილი მასალის გამეორება და უკვე დაუფლებული უნარების განმტკიცება დაისახეს. ეს მიდგომა ითვალისწინებდა მოსწავლეებისთვის სახალისო, ავთენტური და მულტიდისციპლინური დავალებების მიცემას. სასკოლო ოლქების მეორე ნაწილმა გადაწყვიტა, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა პანდემიამდე არსებული გეგმები და დისტანციური სწავლების დროსაც გაეგრძელებინათ ახალ სასწავლო მასალაზე მუშაობა. ეს გადაწყვეტილება იმ სასკოლო ოლქებმა მიიღეს, სადაც როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მხრიდან სწავლა-სწავლების ახალი ფორმატისთვის მეტი მზაობა არსებობდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, თითოეულ დისციპლინაში შეარჩიეს საკვანძო უნარები და მათზე მოახდინეს ფოკუსირება. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, უმეტესად დაწყებითის და შუა საფეხურის კლასებში, აქცენტი გააკეთეს მათემატიკასა და ინგლისურ ენაზე და საბუნებისმეტყველო თუ საზოგადოებრივი მეცნიერებების საკითხების დაფარვა ამ ორი საგნის ფარგლებში ინტერდისციპლინური დავალებების მიცემით შეძლეს. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლები, მიუხედავად შედარებით ამბიციური გეგმებისა, მაინც რეალისტურად აფასებდნენ არსებულ სიტუაციას და გააზრებული ჰქონდათ, რომ ყველა მოსწავლე თანაბრად ვერ შეძლებდა ახალი სასწავლო მასალის დისტანციურ რეჟიმში დაუფლებას.

ახლა მათი ამოცანაა, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ სიღრმისეული დიაგნოსტიკა და რემედიაციის პროგრამა შესთავაზონ იმ ბავშვებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ახალი მასალის სათანადოდ დაუფლება.

დაბოლოს, შეინიშნებოდა ე.წ. შერეული მოდელიც. ზოგიერთმა სკოლამ, თავდაპირველად, დისტანციური სწავლება დაიწყო განმეორება/განმტკიცების მიზნით და მხოლოდ გარკვეული გამოცდილების შეძენისა და სწავლის ახალი ფორმატით მიმდინარეობის შეფასების შემდეგ გადავიდნენ ახალი მასალის დაუფლებაზე.

მრავალფეროვნება შეინიშნებოდა დისტანციური სწავლების ფორმებშიც: ციფრული, არაციფრული, სატელევიზიო ისევე, როგორც შერეული ფორმები. უნდა ითქვას, ციფრული სწავლების ფორმებს, ტრადიციულ ფორმებთან ერთად, სკოლების დიდი ნაწილი პანდემიამდეც იყენებდა. მათთვის ეს ცვლილება ძალიან დიდი გამოწვევა არ ყოფილა. თუმცა, სინქრონული სწავლება, ანუ სკოლის ტრადიციული რეჟიმის ონლაინ რეპლიკაცია სკოლების შედარებით მცირე ნაწილში მოხდა. ზოგადად, სინქრონულ სწავლებას ძალიან სიფრთხილით ეკიდებიან იმ მიზეზით, რომ ეს საჭიროებს მასწავლებლების ონლაინ პედაგოგიკის სტრატეგიების ფლობას, ასევე უკავშირდება დამატებით სტრესს, ოჯახებში განრიგის, კონფლიქტებისა თუ ოჯახის წევრისთვის შესაბამისი სამუშაო სივრცის არარსებობის გამო. რაც მთავარია, სინქრონული სწავლის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებაენ ეთიკურ საკითხებზე, როგორებიცაა საკლასო ოთახების „გასაჯაროება", მოსწავლეთა საოჯახო სივრცის პრივატულობის დარღვევა და სხვ. ალბათ ამიტომაც, სკოლებმა, უმეტესად, ასინქრონულ სწავლებას მიმართეს. ამ შემთხვევაში, მასწავლებლები მოსწავლეებს სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით აწვდიდნენ საგაკვეთილო რესურსებს, გაიდებს, დავალებებს. ამასთან ერთად, კვირაში ერთხელ, ისინი ონლაინ რეჟიმში ხვდებოდნენ მთელ კლასს ბუნდოვანი თუ პრობლემური საკითხების განსახილველად ან, იმავე მიზნით, ინდივიდუალურ შეხვედრებს მართავდნენ მოსწავლეებთან. იმ ოლქებში, სადაც მოსწავლეების დიდ ნაწილს არ ჰქონდა წვდომა კომპიუტერებსა და ინტერნეტზე, სწავლების არაციფრული ფორმები გამოიყენეს – მოსწავლეები დავალებებს ყოველკვირეულად ან ყოველდღიურადაც იღებდნენ ფოსტით ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პაკეტებს ოჯახებში სასკოლო ავტუბუსებით არიგებდნენ. ზოგიერთმა ოლქმა სწავლის ძირითად ფორმად სატელევიზიო გაკვეთილებიც გამოიყენა. გარდა გაკვეთილებისა, არსებობდა ე.წ. ცხელი ხაზი გაკვეთილის მსვლელობის დროს მასწავლებლებთან დასაკავშირებლად.

**პანდემიის დროს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მოსწავლეთა შეფასება.** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ე.წ. განმავითარებელ შეფასებას, რაც შედარებით ადვილი იყო იმ სკოლებში, სადაც ციფრულ ტექნოლოგიებს იყენებდნენ. ასევე ხშირი იყო მასწავლებლის სატელეფონო ზარები, რომლის დროსაც მასწავლებელს შეეძლო ინდივიდუალურად განეხილა მოსწავლესთან კვირის თუ რამდენიმე დღის განმავლობაში განვლილი საკითხები და დახმარებოდა ბუნდოვანი საკითხების გარკვევაში. რაც შეეხება ნიშნებს, უმეტესად, ნიშნების სისტემა შეინარჩუნეს საშუალო საფეხურის კლასებში (IX-XII კლასები). სხვა შემთხვევაში, გაჭირდებოდა ე.წ. GPA-ს, ანუ მოსწავლეთა ნიშნების საშუალო მაჩვენებლების გამოთვლა, რაც უმაღლესში მიღების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. დაბალ კლასებში, უმეტესად, ამოქმედდა ჩათვლების სისტემა.

**თქვენი აზრით, ამერიკული გამოცდილებიდან, ყველაზე მნიშვნელოვანი ორიენტირი რა იყო სასკოლო განათლებაში?**

ჩემი დაკვირვებით, უმთავრესი ორიენტირი, პანდემიის დროს, იყო მაქსიმალურად თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დისტანციური სწავლება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც სკოლებმა დაადგინეს, თუ რა საჭიროებები ჰქონდათ მათ მოსწავლეებს და როგორ შეეძლოთ ამ საჭიროებებზე რეაგირება. მაგალითად, ძალიან ბევრმა სკოლამ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი კომპიუტერები, დაურიგეს ლეპტოპები. ასევე, ინტერნეტკომპანიებთან თანამშრომლობით, შეძლეს თითოეული ოჯახისთვის, სადაც ერთი მოსწავლე მაინც ცხოვრობდა, სიმბოლურ ფასად, ხელმისაწვდომი გაეხადათ ინტერნეტი. ასევე, როგორც აღვნიშნე, დისტანციური სწავლების მიზნები და ფორმები მოარგეს მოსწავლეების სპეციფიკას. **ცხადია, ე.წ. უფსკრული მოსწავლეების მიღწევებს შორის მაინც იარსებებს, მაგრამ, როგორც მინიმუმ, ამ უფსკრულის პრევენციისა თუ ამოვსებისთვის აქვთ წინასწარ შემუშავებული ან მომავლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.** უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც შეეცადნენ, ყურადღების მიღმა არ დარჩენოდათ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და მათთვის დისტანციური სწავლების მეთოდებისა და ფორმების ადაპტირება მოეხდინათ. თუმცა, **უპირველესი აქცენტი მაინც მოსწავლეების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე გაკეთდა.** რადგანაც პანდემიამ არაერთი ოჯახი დააზარალა, სასკოლო ოლქებმა, თითოეული მოსწავლისთვის, დაიწყეს უფასო საკვების დარიგება. ასევე, მშობლებს მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციას, ვირუსით ინფიცირების პრევენციისა თუ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, საჭირო ქმედებების შესახებ. ასევე, სკოლები მოსწავლეებს სთავაზობდნენ ფსიქოლოგის სერვისს.

ასევე ხაზგასასმელია ის მხარდაჭერა, რაც მასწავლებლებმა მიიღეს სასკოლო ოლქებისა და სკოლებისგან. რადგანაც დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევა იყო უმრავლესობისთვის, მასწავლებლები, ასე ვთქვათ, მარტო არ დატოვეს ამ გამოწვევის წინაშე. სასკოლო ოლქების დონეზე შემუშავდა პანდემიის პირობებში განსახორციელებელი სასწავლო პროგრამები, ასევე მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები დისტანციური სწავლების მიმართულებით პროფესიული განვითარებისთვის. ასევე, ამერიკაში, საგანგებო სიტუაციების დროს, და არა მხოლოდ, დიდ ყურადღებას ანიჭებენ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და, ამ შემთხვევაშიც, არ დატოვეს მასწავლებლები უყურადღებოდ. ცხადია, ყველა შტატი და სასკოლო ოლქი ამას თანაბარი წარმატებით ვერ მოახერხებდა, მაგრამ აქტიური მცდელობები ნამდვილად იყო.

**აუცილებლად უნდა გკითხოთ ქართულ სასკოლო განათლებაზეც, რადგან საინტერესოა თქვენი შეფასება – რას ფიქრობთ, როგორ გაართვა თავი ჩვენმა სისტემამ ამ გამოწვევას და რა აჩვენა ამ პერიოდმა – რისი გათვალისწინება მოუწევთ სკოლებს სამომავლოდ და სამინისტრომ რის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს დაუყოვნებლივ?**

პანდემია განსაკუთრებული გამოწვევაა და დასაფასებელია ყველა მცდელობა სახელმწიფოსა და სამინისტროს თუ სკოლებისა და მასწავლებლების მხრიდან. ჩემი დაკვირვებით, განსაკუთრებით იყოჩაღა მასწავლებლების გარკვეულმა ნაწილმა და, მიუხედავად თანმიმდევრული გაიდლაინების სიმცირისა, შეძლეს მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად საინტერესოდ წარემართათ სასწავლო პროცესი. თუმცა, სახელმწიფო სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ცალკეული მასწავლებლის სიყოჩაღესა თუ მონდომებაზე ან ოჯახების მდგომარეობაზე არ იყოს მოსწავლის ბედი სრულად დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ მასწავლებლების უმრავლესობისთვის ობიექტურად ადვილი ვერ იქნებოდა ამ სირთულეებისთვის თავის გართმევა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო არსებული სიტუაციის ანალიზი, კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით და დისტანციური სწავლების შესაბამისი მიზნებისა და ფორმების დაგეგმვა ისევე, როგორც სკოლებისა და მოსწავლეების ამ პროცესისთვის, შესაძლებლობების ფარგლებში, მომზადება. ჩვენთან, თავდაპირველად, ქაოტურ რეჟიმში წარიმართა პროცესი ან ზოგან საერთოდაც არაფერი წარიმართა, მხოლოდ მოგვიანებით შეეცადა სამინისტრო ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის სადავეების ხელში აღებას.

რაც შეეხება პროექტს „ტელესკოლა", ეს არის ნამდვილად ხარისხიანი პროდუქტი. თუმცა, ეს პროექტი შედეგიანი და გამართლებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ის მიაღწევს მის სამიზნე ჯგუფამდე, ანუ თითოეულ მოსწავლემდე. ამისთვის მასწავლებლებმა უნდა შეძლონ ამ გაკვეთილების დისტანციური სწავლების პროცესში ინტეგრირება და ამ ხარისხიანი მასალის სასიკეთოდ გამოყენება. მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ იაქტიურონ უმაღლესმა სასწავლებლებმა, სადაც არსებობს მასწავლებლების მომზადების პროგრამები.

არც რეალისტები ვიქნებით და არც სამართლიანები, თუ მოლოდინები გვექნება, რომ დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებს მასწავლებლები მიაგნებენ და დაამუშავებენ ინდივიდუალურად თუ მცირე ჯგუფებში. ვფიქრობ, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სადაც, წესით, მეტი ექსპერტიზა და წვდომაა სხვა ქვეყნის გამოცდილებებთან, პრაქტიკოსი მასწავლებლების ჩართულობით, უნდა შეიმუშაონ დისტანციური თუ ონლაინ პედაგოგოკის საკითხები და, სამინისტროსთან თანამშრომლობით, გაუზიარონ მასწავლებლებს. ცხადია, მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ ამ მიდგომების საკუთარი სწავლების სტილისა თუ მოსწავლეების საჭროებების მიხედვით მორგება. **მრჩება შთაბეჭდილება, რომ პანდემიის დროს განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენებისა და მუშაობის შედეგების წარმოჩენა გადაჭარბებულად პოზიტიურად ხდება.**

ეს, ცხადია, მთავარი ხელის შემშლელი პირობაა, მომავალი დაგეგმარების თვალსაზრისით. ამიტომ, ძალიან სიფრთხილით უნდა შემუშავდეს პანდემიის დროს სისტემის ფუნქციონირების ინდიკატორები და ობიექტურად მოხდეს მათი გაზომვა და შედეგების დამუშავება. მაგალითისთვის, თუ მოსწავლეთა ონლაინ სწავლა-სწავლების რეჟიმში ჩართულობას მხოლოდ თიმსის პროგრამაში მოსწავლეების ფორმალური დაფიქსირებით

## პანდემია და ამერიკული განათლება

გავზომავთ, მცდარ წარმოდგენას შევიქმნით დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობაზე და ვერც მისი გაზრდისთვის საჭირო ქმედით ღონისძიებებს დავგეგმავთ.

**✓ როგორ ემზადებიან არიზონას სკოლებში მომავალი სასწავლო წლისთვის? რა სცენარებს განიხილავენ და თქვენ რომელს არჩევთ? ან რა ალტერნატივებს დაასახელებთ?**

⇨ არიზონაში ისევე, როგორც ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალურად რეალისტური პროგნოზები და განსაზღვრონ რა ფორმით დაიწყებენ მომავალ სასწავლო წელს.

**ძირითადად, ოთხ შესაძლო სცენარს განიხილავენ:** სკოლების სრულად გახსნა და პრე-პანდემიურ რეჟიმზე დაბრუნება, მკაცრი პრევენციული ზომების გატარების პირობით; ჰიბრიდული მიდგომა, რაც გულისხმობს ალტერნატიული განრიგების ამოქმედებას – სკოლაში სიარული ყოველ მეორე დღეს, ან კვირაში ერთხელ, ან ნახევარდღიანი სასკოლო დღის დაწესება – და არასასკოლო დროის დისტანციური სწავლებით შევსება; დაბოლოს, დისტანციური სწავლების შენარჩუნება იმ ეტაპამდე, სანამ სკოლაში სიარული მკაცრი პრევენციული ზომების გატარების გარეშე იქნება უსაფრთხო. ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ, მომავალი სასწავლო წელი თავიდანვე დისტანციური სწავლის წლად გამოაცხადონ და შესაბამისად დაგეგმონ. რადგანაც პრე-პანდემიურ მდგომარეობაში დაბრუნების მცირე შანსი არსებობს, ასევე განიხილავენ მთელ რიგ ცვლილებებს, როგორებიცაა: მასწავლებლების ფუნქციების განსხვავებული გადანაწილება, სასკოლო სივრცეების რეორგანიზაცია, გარე სივრცეების მაქსიმალურად გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვ.

მე ვფიქრობ, მომავალი სასწავლო წლისთვის, ჰიბრიდული მიდგომის გამოყენება ყველაზე ოპტიმალურია, რადგან ამცირებს ვირუსის გავრცელების ალბათობას და ამასთანავე, ინარჩუნებს მოსწავლეებისთვის თანატოლებთან და პედაგოგებთან ცოცხალი ინტერაქციის შესაძლებლობას. ეს მიდგომა შეიძლება საქართველოს სკოლებმაც განიხილონ.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

### სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიში

# გამიზნულად თუ გაუფრთხილებლობით დარღვეული პერსონალური მონაცემები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, რომელშიც 2019 წელს, საქართველოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა, ძირითადი ტენდენციები, გამოვლენილი პრობლემატური საკითხები, გამოწვევები, ზოგადი სტატისტიკური მონაცემები და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობაა შეფასებული, საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა.

ანგარიშიდან ვიგებთ, რომ კომპანიები, რომლებსაც ქუჩის ვიდეოსათვალთვალო კამერები აქვთ დამონტაჟებული, გამოსახულებასთან ერთად, ხმასაც იწერენ. გამოდის, რომ გვისმენენ ყველგან, სკოლაშიც კი. სახელმწიფი ინსპექტორი ლონდა თოლორაია აღნიშნავს, რომ სკოლებში უკანონოდ ხდება საპირფარეშოებში ბავშვების გადაღება.

*„სამწუხაროდ, ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც ვიდეოთვალთვალის პარალელურად, ხორციელდება დასაქმებულთა აუდიოთვალთვალი, ასევე ორგანიზაციების გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერები, გარდა გამოსახულების ჩაწერისა, ახორციელებენ ასევე აუდიო-ვიდეო ჩაწერას.“* – ამბობს სახელმწიფო ინსპექტორი.

თითოეული ჩვენგანი, დღის განმავლობაში, ათეულ კამერაზე ვართ აღბეჭდილი, ამიტომ მნიშვნელოვანია, როგორ ინახება ამ კამერების ჩანაწერები, რამდენი ხნის ვადით ინახება და ვის აქვს წვდომა მათზე, ვინ ათვალიერებს, ვის აქვს ამ ჩანაწერების გადმოწერის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ეს საკითხები ორგანიზაციებში მკაცრად რეგულირებული არ არის.

კანონით მკაფიოდაა განსაზღვრული ვიდეოთვალთვალის მიზნები, მიუხედავად ამისა, კერძო ორგანიზაციებში, კვლავ გამოწვევად რჩება სამუშაო ადგილებზე აუდიოვიდეოთვალთვალი. კერძო კომპანიების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება არ ისახავდა კანონით დადგენილ მიზნებს: პირის უსაფრთხოება და საკუთრების დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, გამოცდის/ტესტირების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა გასაჯაროებისა და გამჟღავნების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. მონაცემთა გასაჯაროება მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის მოცულობას.

პერსონალურ მონაცემთა კანონის დარღვევით გასაჯაროების შემთხვევები გამოვლინდა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორშიც. მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები, მომსახურებისა თუ სხვა სახის საქმიანობისას მოპოვებულ მონაცემებს, რიგ შემთხვევებში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და საჭიროების გარეშე ამუშავებენ.

საანგარიშო პერიოდში ისეთი შემთხვევებიც გამოვლინდა, როდესაც საჯარო დაწესებულებებმა, გამიზნულად, ზოგჯერ კი – გაუფრთხილებლად (ტექნიკური ან/და ადამიანური შეცდომის გამო), ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გაასაჯაროვეს მათ ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები.

მონაცემთა გასაჯაროება ინტერნეტსივრცეში არსებითად განსხვავდება ნებისმიერი სხვა (მაგ.: ბეჭდური) ფორმით ინფორმაციის გავრცელებისგან, რადგან ინტერნეტსივრცეში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია გაცილებით ფართო წრისათვის.

**მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე შემოწმდა ორი უმაღლესი სასწავლებელი. შედეგად, დადგინდა, რომ:**

✓ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საძიებო სისტემა Google-ის მეშვეობით ხელმისაწვდომი გახადა ე.წ. excel-ის ფაილი, რომელშიც მითითებული იყო მაგისტრანტობის 190 კანდიდატის გამოცდების შედეგები, პირადი ნომრები, სახელები, გვარები, მობილური ტელეფონის ნომრები, კურსი, ქულები, სქესი, იურიდიული მისამართი და ა.შ. ამავე ფაილში დაფარული ველების გახსნის ე.წ. unhide ფუნქციის გამოყენების შემდეგ ხელმისაწვდომი ხდებოდა დამატებით 243 პირის მონაცემი. გამოცდის შედეგების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ემსახურებოდა საგამოცდო პროცესების გამჭვირვალედ წარმართვას და გამოცდების შედეგების გამოქვეყნების საკანონმდებლო ვალდებულებას, თუმცა, მონაცემთა დამუშავების პროცესში უნივერსიტეტმა ვერ დაიცვა უსაფრთხოების წესები. შედეგად, მან მონაცემები გაასაჯაროვა იმაზე მეტი მოცულობით და ვადით, ვიდრე საჭირო იყო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

✓ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ სოციალური ქსელის Facebook-ის გვერდზე გაასაჯაროვა დავალიანების მქონე 73 სტუდენტის სია, საფასურის გადაუხდელობაზე მათი ინფორმირებისათვის. ვინაიდან დაწესებულებამ ვერ დაასაბუთა, რატომ იყო აუცილებელი დასახული მიზნის მისაღწევად კონკრეტულ აბიტურიენტთა ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, მონაცემთა გასაჯაროება ჩაითვალა კანონდარღვევად და აკადემიას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციაში (GDPR) ხაზგასმულია, რომ არასრულწლოვნები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას, რადგან ისინი შესაძლოა არ ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას იმ უფლებების, რისკებისა და შედეგების შესახებ, რაც დაკავშირებულია მათი მონაცემების დამუშავებასთან.

საერთაშორისო მიდგომებთან საქართველოს პრაქტიკის შესაბამისობისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უკეთ უზრუნველსაყოფად, გასულ წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების მდგომარეობა სხვადასხვა სფეროში. განსახილველი შემთხვევები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეარჩია როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე მოქალაქეების/დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე.

როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სადაც თავს იყრის დიდი მოცულობისა და განსაკუთრებით სენსიტიური მონაცემები მათ შესახებ – პირველ რიგში, სკოლებს, სადაც არასრულწლოვანთა დიდი რაოდენობით პერსონალური ინფორმაცია გროვდება.

**სკოლების შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:**

✓ მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების გარდა, ერთ-ერთი საჯარო სკოლა, დამატებით, ამუშავებდა მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა შემცველ ისეთ დოკუმენტაციას, რომელთა სკოლისათვის წარდგენას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს;

✓ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ასეულობით მოსწავლის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი პირადი საქმე ინახებოდა ღია ფორმით, სკოლის საქმისმწარმოებლის სამუშაო ადგილას (სადაც ხელი მიუწვდებოდათ სხვა პირებსაც). ეს ქმნიდა აღნიშნული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი დამუშავების რისკს;

✓ რამდენიმე სკოლაში (როგორც საჯარო, ასევე კერძო) გამოვლინდა კანონის დარღვევით ვიდეოთვალთვალის ფაქტები – კერძოდ, მონიტორინგი ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში. ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში არ ხვდებოდა საპირფარეშო ოთახში განთავსებული კაბინების შიდა პერიმეტრი, არამედ მხოლოდ საპირფარეშო ოთახის ხელსაბანი და დერეფანი. აღნიშნული ტერიტორია სკოლებს არ მიაჩნდათ ჰიგიენისთვის განკუთვნილ სივრცედ და, ამდენად, ვიდეომონიტორინგს დარღვევად არ თვლიდნენ. ვინაიდან კანონი ჰიგიენისთვის განკუთვნილ სივრცეში გამონაკლისის სახითაც არ უშვებს მონაცემთა დამუშავებას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია, რომ საპირფარეშოებში ვიდეოკამერების განთავსება მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და თამბაქოს მოხმარების კონტროლს ემსახურებოდა. ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილი განსაკუთრებული პირადი სივრცეა. ის არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საპირფარეშო კაბინების უშუალოდ შიდა პერიმეტრით. საპირფარეშო ოთახი მთლიანად – ხელსაბანების ადგილი, დერეფანი თუ კაბინის შიდა პერიმეტრი – მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ჰიგიენური მიზნებისთვისაა განკუთვნილი. შესაბამისად, პირის უფლება, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს აღნიშნული სივრცეებით, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სივრცეებში მონაცემთა სუბიექტის მონიტორინგი ნებისმიერი მიზნით გაუმართლებლად ჩაითვალა;

✓ ერთ-ერთი კერძო სკოლის ადმინისტრაციამ, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის (სასამართლოს განჩინება/პროკურორის დადგენილება) წარდგენის გარეშე, პოლიციის თანამშრომლებს გადასცა ამავე სკოლის სამეთვალყურეო კამერებით გადაღებული ვიდეოჩანაწერები, რომლებიც არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემებს ასახავდა;

✓ ერთ-ერთ კერძო სკოლაში მოსწავლეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ვიდეოთვალთვალის შესახებ და არც შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები იყო განთავსებული, კანონის შესაბამისად;

✓ ერთ-ერთ კერძო სკოლაში ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებულ მონაცემებთან წვდომა არ რეგულირდებოდა სათანადო წესით. შესაბამისად, არსებობდა მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო დამუშავების რისკი.

*„ჩვენი ინიციატივით, შევისწავლეთ რამდენიმე საჯარო და კერძო სკოლა, აღმოვაჩინეთ, რომ ბავშვების მონაცემები გროვდება იმაზე მეტი მოცულობით, ვიდრე ეს კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით არის გათვალისწინებული,* – ამბობს ლონდა თოლორაია, – *ზოგ შემთხვევაში, არ არის მკაცრად რეგულირებული ვიდეოთვალთვალის წესები და იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ვიდეოთვალთვალი ხორციელდებოდა ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული არასრულწლოვნების გამოსახულებების ჩანაწერების შენახვის წესების დაცვა და ვის გადაეცემა ეს მონაცემები. სამწუხაროდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამ მონაცემების გადაცემა არაკანონიერი საფუძვლით განხორციელდა, მაგალითად, პოლიციის დაწესებულებებისათვის.“*

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესიც შეისწავლა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, განრიდების მიზნით, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების კანონიერება, ვინაიდან განრიდებასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებია და მათი კანონის დარღვევით დამუშავება მომეტებულად სარისკოა.

✓ საქართველოს გენერალური პროკურატურის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მკაფიოდ და ნათლად არ არის განსაზღვრული არასრულწლოვანთა იმ პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა, რომლებსაც პროკურატურა განრიდების მიზნით იყენებს. პროკურატურას დაევალა შენახვის ვადების განსაზღვრა.

ერთ-ერთ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა მონაცემების გასაჯაროება (პრესრელიზებსა თუ ბრიფინგებზე). გამოვლენილ შემთხვევათა უმრავლესობა შეეხება არა სახელისა და გვარის გასაჯაროებას, არამედ ფართო საზოგადოებისათვის ისეთი მონაცემების მიწოდებას, რომელთა ერთობლიობაც არასრულწლოვნის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, არასრულწლოვნის ასაკისა და დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილის (სოფლის, რაიონის) მითითება; ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი ბავშვის ტანსაცმლის გამოჩენა ან სხვა). ინფორმაციის გასაჯაროებამ მსხვერპლი ან ბრალდებული არასრულწლოვნის შესახებ შესაძლოა მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. შესაბამისად, აუცილებელია, სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიისა და მოცულობითი მონაცემები ყოველთვის კანონის მოთხოვნების შესაბამისად არ მუშავდება. გამოვლინდა შემთხვევები, როცა მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ან/და პრინციპების დარღვევით დამუშავდა, ან დაირღვა მონაცემთა უსაფრთხოების წესები.

*„არის შემთხვევები, როდესაც კერძო ორგანიზაციები, საჯარო უწყებები, სამართალდამცავი ორგანოები, ეს პრობლემა ეხება აბსოლუტურად ყველა სფეროს, ასაჯაროებენ ძალიან მნიშვნელოვან პერსონალურ მონაცემებს, ეს შეიძლება იყოს: პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემები, მსჯავრდებასთან დაკავშირებული, პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები. გასაჯაროებაში მე არ ვგულისხმობ მხოლოდ და მხოლოდ მედიის საშუალებით მათ გასაჯაროებას, ვგულისხმობ ამ ინფორმაციის ისეთი მესამე პირებისთვის გადაცემას, რომლებსაც ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ ამ ინფორმაციაზე.“* – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშს, რომელიც 2019 წელს მოიცავს და მთელი ამ წლის განმავლობაში ინსპექტორის მხრიდან განხორციელებულ სამუშაოებსა და დაფიქსირებულ დარღვევებს ეხება, სათანადო რეკომენდაციებიც ახლავს.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

სკოლამდელი აღზრდა

# ჩვენს პატარებს ზღაპრულ გარემოსა და ბევრ სიახლეს ვპირდებით



## გვესაუბრება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი, კახაბერ გვანცელაძე

**✓ თბილისის საბავშვო ბაღებში დაიწყო რეგისტრაცია, რომელიც ორ ეტაპად ხორციელდება. რას ნიშნავს ორეტაპიანი რეგისტრაცია და რა უნდა იცოდნენ მშობლებმა რეგისტრაციის შესახებ?**

⇨ უპირველეს ყოვლისა, მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, რათა რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ ნორმალურ სამუშაო რეჟიმში და ჩვენმა პატარებმა შეძლონ გააგრძელონ სკოლამდელი განათლების მიღება ბაგა-ბაღის კედლებში. რაც შეეხება ახალ სააღმზრდელო წელს, რეგისტრაცია კვლავ ორ ეტაპად და ელექტრონულად წარიმართება, თუმცა, რა თქმა უნდა, გვაქვს სიახლეები. რეგისტრაციის პირველი ეტაპი, როცა გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე ბენეფიციარი სარგებლობს პრიორიტეტით, 12 ივნისს, 12 საათზე დაიწყო. პრიორიტეტით მოსარგებლეთა კატეგორიების ჩამონათვალი გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე: w, ამავე გვერდზე მიმდინარეობს სწორედ ელექტრონული რეგისტრაცია, თუმცა ორი კატეგორიის მქონე ბენეფიციარები - სამხედრო მოსამსახურეთა შვილები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები – რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებს (დაბადების მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა: ფორმა 100 ან ფორმა 50) გამოგზავნიან სპეციალურად რეგისტრაციისთვის მოქმედ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე: k. რაც შეეხება სიახლეს, სწორედ სამხედრო მისიებში მონაწილე ჩვენი სამხედროებისა და მრავალშვილიანი ოჯახების (ოთხი და მეტი შვილი) შვილების სტატუსის მქონე ბენეფიციარების დამატება მოხდა წელს, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, პრიორიტეტულ კატეგორიებში.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 19 ივნისს, 12 საათზე დაიწყება და ყველას ექნება ელექტრონული რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა. წელს 15 000-მდე ვაკანტური ადგილი გვექნება.

**✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებისთვის რეგისტრაციის წესი მარტივდება, კერძოდ?**

⇨ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რეგისტრაცია აქამდე დოკუმენტების ფიზიკურად წარდგენით ხდებოდა სააგენტოში ან კონკრეტულ საბავშვო ბაღში. მსოფლიო პანდემიის საფრთხეების გათვალისწინებით, ჩვენ გადავწყვიტეთ, ხელი შევუწყოთ მშობლებს და მათ ელექტრონულად გამოგზავნონ ის საბუთები, რაც აღნიშნული სტატუსის მქონე ბავშვების რეგისტრაციისთვის არის საჭირო. რამდენადაც ასეთი ბაზა არ არსებობს, ელექტრონული პორტალი ვერ შეძლებს ბენეფიციართა იდენტიფიცირებას, სწორედ ამიტომ, დოკუმენტებს ელექტრონული ფოსტით მივიღებთ და უზრუნველვყოფთ მათ რეგისტრაციას. ამით ავირიდებთ მოქალაქეთა მოსვლას საჯარო დაწესებულებაში და თავად მშობლებს კი, სახლიდან გაუსვლელად, მიეცემათ შესაძლებლობა, გაიარონ რეგისტრაცია სასურველ ბაღში.

**✓ აქტიურად მიმდინარეობს აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი პროდუქტების ნაკრების გაცემა, ვის მიერ არის შედგენილი შერჩეული პროდუქტების ნაკრები და რამდენი აღსაზრდელი სარგებლობს ამ დახმარებით, როდემდე გაგრძელდება ეს ინიციატივა?**

⇨ ეს მართლაც უპრეცედენტო პროექტი იყო, რომელიც თბილისის მერის, კახა კალაძის პირადი ინიციატივით, უმოკლეს დროში განხორციელდა და ამაში უდიდესი შრომა ჩადო როგორც სააგენტოს გუნდმა, ისე თითოეული ბაღის პერსონალმა. მათ ჰქონდათ უაღრესად საპასუხისმგებლო მისია, ყველაზე კრიზისულ და კრიტიკულ მომენტში, დარჩენილიყვნენ ბავშვების სამსახურში და საკუთარი ფიზიკური შრომის შედეგად, გაეცათ პროდუქტების პაკეტი ყველა მსურველი მშობლისთვის. რაც შეეხება პაკეტის შემადგენლობას, ეტაპების მიხედვით იცვლებოდა და მის შედგენაში მონაწილეობდა როგორც კვების ექსპერტი, ისე სააგენტოს შესაბამისი განყოფილების სპეციალისტები. 11-12 სახეობის პროდუქტისგან დაკომპლექტებული ნობათი უკვე 5-ჯერ გავეცით და, ივნისის ბოლომდე, კიდევ ორი ეტაპის პროდუქტს გავცემთ. პროექტის ღირებულება საკმაოდ მაღალია, რადგან ასევე მაღალი იყო მოთხოვნა პროდუქტზე – ბავშვთა რაოდენობის თითქმის 85 პროცენტზე გაიცა, თითოეულ ეტაპზე, ნობათი და ყველა ეტაპის საშუალო ღირებულება 1 800 000 ლარამდე იყო.

**✓ ეპიდემიასთან დაკავშირებით, თუ მიიღეთ რეკომენდაციები ჯანდაცვის სამინისტროდან და რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს სკოლამდელმა სააღმზრდელო დაწესებულებამ?**

⇨ მინდა გითხრათ, რომ ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების ის წესები, რაც ახლა საყოველთაო რეკომენდაციების ჩამონათვალშია, ჩვენს ბაღებში უკვე დიდი ხანია დანერგილია, სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. თუმცა, მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც სააღმზრდელო პროცესი შეწყდა, კორონავირუსის ეპიდემიის გამო, ჯერჯერობით, რაიმე რეკომენდაციის გაზიარება უშუალოდ სააღმზრდელო პროცესში არ გვიწევს, თუ არ ჩავთვლით სწორედ პროდუქტების გაცემის პროცესს, სადაც მკაცრად არის დაცული უსაფრთხოების რეკომენდაციები, იქნება ეს დისტანციის დაცვა, პერსონალის აღჭურვა პირბადეებითა და ერთჯერადი ხალათებით, სპეციალური სითხით ინვენტარის დამუშავება თუ სხვ. რა თქმა უნდა, ახალი სააღმზრდელო წლის განახლებისას ჩვენ გავიზიარებთ და ზედმიწევნით შევასრულებთ ყველა იმ მითითებას, რასაც სათანადო უწყებებიდან მივიღებთ.

**✓ როგორც ვიცით, განათლების სისტემა, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა, ასევე, ამუშავდა „ტელესკოლა“. ბაღის აღსაზრდელებისთვის ხომ არ შემუშავებულა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომელიც წარიმართება დისტანციურად, თუნდაც იმიტომ, რომ არ გაწყდეს კავშირი აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის.**

⇨ მოგეხსენებათ, განათლების კომპონენტი სკოლამდელი განათლების სისტემაში სახელმწიფო დონეზეა შედგენილი და დარეგულირებული, შესაბამისად, სწორედ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ონლაინ გაკვეთილები, 12-მდე ეთერი, რომელიც განკუთვნილია მშობლებისთვის, რათა მათ, ასაკობრივი განვითარების მიხედვით, ჩაატარონ საჭირო და მარტივი აქტივობები შვილებთან. ეს გაკვეთილები გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, ინფორმაცია გამოქვეყნებულია სააგენტოს ფეისბუქის გვერდზეც.

**✓ სიტუაციიდან გამომდინარე, ალბათ წელს ვერც საზაფხულო ბაღები შეძლებენ ფუნქციონირებას...**

⇨ ნამდვილად, სექტემბრამდე საჯარო საბავშვო ბაღი არ იმუშავებს.

**✓ თუ ახორციელებს სააგენტო, ამ ეტაპზე, რაიმე სახის პროექტს?**

⇨ საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, ზოგი სრულდება, ზოგიც საწყის ეტაპზეა. ასევე მიმდინარეობს გამაგრება-რეკონსტრუქციის პროექტები და ალტერნატიულ ფართებში გადაყვანილი ბაღები კუთვნილ შენობებს დაუბრუნდებიან. გვაქვს დემონტაჟის პროექტებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შენობების ნაცვლად, რომლებიც რეკონსტრუქციას ან გამაგრებას არ ექვემდებარებოდა, იშლებოდა, მომავალი წლიდან, ჩვენ ახალი ბაღების მშენებლობას დავიწყებთ. ასევე, მნიშვნელოვანია ავარიული შენობების გამაგრება-რეკონსტრუქცია, რომელთაგან ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

**✓ ხომ არ შეემატება დედაქალაქს, სექტემბრისთვის, ახალი საბავშვო ბაღი?**

⇨ წელს ჩვენ ოთხი ახალი ბაღის გახსნას ვგეგმავთ – დიდუბის, გლდანისა და სამგორის რაიონებში. ახალი ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება და მოეწყობა, ჩვენს პატარებს ზღაპრულ გარემოსა და ბევრ სიახლეს დავახვედრებთ. თუმცა, მანამდე, მთავარია, დავამარცხოთ უხილავი მტერი, კოვიდ-19, რომელმაც, სამწუხაროდ, სრულიად შეცვალა მსოფლიო რეალობა და, მათ შორის, ჩვენიც. მინდა, ჯანმრთელობა ვუსურვო ყველა პატარას, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და ბევრ ახალ, საინტერესო და მომავალი თაობის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტს განვახორციელებთ.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა

# განათლების კოალიცია CK-12-თან თანამშრომლობას იწყებს




განათლების კოალიციასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმას CK-12-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით, ახალი საგანმანათლებლო პლატფორმისა და რესურსების შექმნას.

პროექტის მიზანია ზოგადი განათლების სფეროში ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. პროექტის ფარგლებში, ითარგმნება და ადაპტირდება როგორც საგნობრივი მასალები, ასევე რესურსები არჩევითი საგნების მიმართულებით. აღნიშნული მასალები ხელმისაწვდომი იქნება ck-12-ის პლატფორმაზე w სადაც შეიქმნება ქართველი მომხმარებლისათვის სპეციალური გვერდი.

მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დისტანციურად შეეძლებათ საჭირო მასალის გაცნობა და დავალებების შექმნა თუ შესრულება.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ და ck-12-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნირუ კოსლამ. ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლალი კალანდაძე.

მხარეებს შორის თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს და რეგიონული ოფისების შუამავლობით გახდა შესაძლებელი. თანამშრომლობის მიზანია, საქართველოში სწავლების და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

CK-12 წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმას, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ციფრული რესურსების საშუალებით. w პლატფორმაზე განთავსებულია სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები, მეტწილად STEM-ის (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით. დღესდღეობით, პლატფორმას იყენებს 50 000-ზე მეტი სკოლა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

დაიჯესტი

# სახელმძღვანელოების გრიფირების შედეგები ცნობილია



დასრულდა VIII კლასის (ასევე დაწყებითი და VII კლასის ზოგიერთი საგნის) გრიფირების პროცესი. წელს კონკურსში 60-მდე სახელმძღვანელო მონაწილეობდა.

*მარიამ ჩიქობავა: „ორი წელია, ჩართული ვარ ამ საკმაოდ რთულ და კომპლექსურ პროცესში, რომელსაც, ცხადია, ახლავს ხარვეზებიც. წელს 60-მდე სახელმძღვანელო მონაწილეობდა კონკურსში (თან, ძირითადად, მხოლოდ ერთი კლასისთვის) და 200-ზე მეტი შემფასებელი (აკადემიური წრის წარმომადგენელი, პრაქტიკოსი პედაგოგები, ფილოლოგები, ფსიქოლოგები, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩართული სპეციალისტები) იყო ჩართული.*

*ბევრი ავტორი და გამომცემელი გახარებულია და მეც უზომოდ მიხარია მათთან ერთად, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ უკეთესი სახელმძღვანელოები შევა წელს საქართველოს VIII კლასებში. რა თქმა უნდა, გვაქვს დიდი გულდაწყვეტაც, ნაწილი სახელმძღვანელოების ვერ გავიდა და მესმის, რა ძნელია, შვილივით ნალოლიავები წიგნი რომ გრიფს ვერ მიიღებს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგნენ ავტორები:*

- *არსებითად შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმა და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კლასის სახელმძღვანელოსთვის 4 თვეზე მეტი იყო გამოყოფილი, მაინც არ არის ეს დრო საკმარისი სრულიად ახალი სახელმძღვანელოს დასაწერად, ჩემი აზრით;*
- *გარდა ამისა, წელს გადასალახი ბარიერი, შარშანდელთან შედარებით, ბევრად მაღალი იყო;*
- *პროცესის მიღმა ზოგი იმის გამოც დარჩა, რომ ხარვეზების გამოსასწორებლად დადგენილი დრო, რეცენზენტების მხრიდან, არ ჩაითვალა საკმარისად კონკრეტულ სახელმძღვანელოებთან მიმართებით.*

*ამდენად, გრიფის მიღება ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული და არა მხოლოდ ავტორების კომპეტენციასთან.*

*უკვე დავიწყეთ მთელი ამ პროცესის კრიტიკული გააზრება, შარშანდელის მსგავსად, ავტორებისა და გამომცემლობებისგან ვიღებთ შენიშვნებს და წინადადებებს. უკვე მზად გვაქვს გარკვეული მოსაზრებები ცვლილებებთან დაკავშირებით, ტექნიკურ-ორგანიზაციული და შინაარსობრივი კუთხით; ასევე, თუ როგორ გაუმჯობესდეს საკონსულტაციო პროცესი ავტორებთან. ყველას გვაქვს ერთი მიზანი – გვინდა ხარისხიანი სახელმძღვანელოები და ამიტომ, ამ პროცესში ღია ვართ ყველა დაინტერესებული მხარისთვის.*

*შორს არ არის ის ოცნებაც, რომ გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, სკოლებს ექნებათ სპეციალურად გამოყოფილი ბიუჯეტი, რომლითაც დამატებით რესურსებს (ელექტრონულს თუ ბეჭდურს) შეიძენენ, გამოიყენებენ და სასწავლო პროცესს გაამრავალფეროვნებენ.“*

**გრიფირებული სახელმძღვანელოების სია იხილეთ დანართში**

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N494029, 19.06.2020წ. დანართი
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N494028 19.06.2020წ. დანართი

# საოკუპაციო რეჟიმი ახალგორელ აბიტურიენტებს ერთგვარ ულტიმატუმს უყენებს




საოკუპაციო რეჟიმი, ერთი შეხედვით, თითქოს გარკვეულ დათმობაზე წავიდა, როცა განაცხადა, რომ ახალგორელ აბიტურიენტებს თბილისში სწავლის გაგრძელების უფლება მიეცემათ. მეორე მხრივ, აბიტურიენტები ე.წ. უშიშროების კომიტეტის წევრებმა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაიბარეს „გასაუბრებაზე“ და მკაცრად გააფრთხილეს, თუ ე.წ. საზღვარს გადაკვეთდნენ და თბილისში, რომელიმე უნივერსიტეტში დაიწყებდნენ სწავლას, დაჯარიმდებოდნენ, ამასთანავე, ვეღარც უკან დაბრუნებას მოახერხებდნენ. აბიტურიენტებს მოსთხოვეს, რომ სწავლა ცხინვალის უნივერსიტეტში გაეგრძელებინათ და უარი ეთქვათ თბილისში გამგზავრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ არასრულწლოვნებთან ე.წ. გასაუბრებას არ ესწრებოდნენ არც მშობლები, არც მასწავლებლები და არც სხვა მეურვეები.

ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებამ მშობლების პროტესტი გამოიწვია და ინფორმაციამ მედიაშიც გაჟონა, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები აბიტურიენტების მშობლებს შეხვდნენ და პირობა მისცეს, რომ თბილისში სწავლის გაგრძელების მსურველებს საოკუპაციო ხაზს არ ჩაუკეტავენ. *„ეს იქნება ერთჯერადი გახსნა, ჯერჯერობით, ერთი მიმართულებით – მხოლოდ თბილისი. ვიდრე ჩვენთან საკარანტინო პერიოდი არ დასრულდება, მათ უკან დაბრუნების შესაძლებლობა არ ექნებათ.“* – ამბობს თამარი.

ახალგორის გამგებლის, ნუგზარ თინიკაშვილის აზრით, საოკუპაციო რეჟიმმა ახალი შეზღუდვები მას შემდეგ დააწესა, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის საქართველოს მთავრობამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა უფასო გახადა. *„ადრე, ვისაც ჰქონდა ე.წ. „პროპუსკი“, სტუდენტი იყო, პენსიონერი თუ ნებისმიერი ადამიანი, ყველა გადაადგილდებოდა ნებისმიერ დროს, მაგრამ გასული წლის სექტემბრიდან ეს შესაძლებლობა ყველასთვის შეზღუდულია.“* – აცხადებს გამგებელი და იმასაც ამბობს, რომ ეს არ ყოფილა უშიშროების წარმომადგენლების მხრიდან დაბარების პირველი შემთხვევა.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრში მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ახალგორელი აბიტურიენტების უფლებების დასაცავად საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება უნდა გააძლიეროს. აბიტურიენტებს, ხშირად, ე.წ. საზღვრის კვეთა არაფორმალური გზით, ტყეების გავლით, ძნელად გასავლელი ბილიკებით უწევთ და ხშირია ფიზიკური დაზიანებებიც. *„საქართველოს მთავრობამ ყველა დიპლომატიური მექანიზმი უნდა გამოიყენოს, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმები იმისათვის, რომ კონკრეტულად აბიტურიენტების ინტერესები ცალკე დააყენონ, ცალკე მოლაპარაკებები გაიმართოს, რომ მათ, წინასაგამოცდო პერიოდში, საზღვრის გადაკვეთა უპრობლემოდ შეძლონ.“* – ამბობს თამთა მიქელაძე, EMC-ის თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორი.

ის, რომ საოკუპაციო რეჟიმი ახალგაზრდებს სწავლის გაგრძელებას, თბილისის ნაცვლად, ცხინვალში აიძულებს, გასაკვირი არ არის. ბუნებრივია, ისიც, რომ ჩვენს მოქალაქეებს ცხინვალში ან თუნდაც რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლა არ სურთ, აბიტურიენტების უმეტესობა თბილისში სწავლას ამჯობინებს. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს უპრობლემოდ შეეძლოთ თბილისში სწავლის გაგრძელება.

# Minecraft Education Edition – მომავლის პედაგოგიკა




განათლებისა და კულტურის მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები განიხილეს ონლაინ შეხვედრაზე მიხეილ ჩხენკელმა და ნათია ხუნტუამ, საქველმოქმედო ფონდის „ათინათი“ (Foundation Atinati) დამფუძნებელმა. განათლების მინისტრი ნათია ხუნტუას დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ პროექტებზე ესაუბრა, Microsoft Team-სა და სხვა ეროვნულ პლატფორმებს შეეხო, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროექტზე „ტელესკოლა“, რომელიც სამომავლოდ დარჩება სატელევიზიო სივრცეში და კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვან სახეს მიიღებს.

თავის მხრივ, ნათია ხუნტუამ მინისტრს საქველმოქმედო ფონდ „ათინათის“ მიმდინარე პროექტები გააცნო, რომლებიც განათლებისა და კულტურის მიმართულებით ხორციელდება. კერძოდ, საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ქართველი ბავშვებისთვის, ქართული ენის შესწავლის მიზნით, ანიმაციური კურსის შექმნას გულისხმობს. აღნიშნული პროექტი ქართველი სათვისტომოსთვის დიდი შენაძენი იქნება და ახალგაზრდა თაობას ქართული ენის შესწავლას გაუადვილებს. ისაუბრა კულტურული პროექტის შესახებაც, რომელიც ქართული ისტორიული ძეგლების ვიზუალიზაციასა და უცხოეთში მათ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ფონდთან თანამშრომლობით შესაძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად განხორციელებული პროექტის „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა“ გაფართოება.

მიხეილ ჩხენკელმა საქველმოქმედო ფონდ „ათინათთან“ სამომავლო თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა და აღნიშნა, რომ ფონდის კონცეფცია და სამინისტროს მიმდინარე პროექტები თანხვედრაშია. მან განსაკუთრებით გამოყო საქართველოს საჯარო სკოლებში Microsoft-ის პროდუქტის „Minecraft Education Edition“-ის დანერგვის საკითხი, რომელიც მომავლის პედაგოგიკაა და ცოდნის თამაშის პროცესში შეძენას გულისხმობს.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურ გამოყენებაზე ისაუბრეს სამუშაო შეხვედრაზე მიხეილ ჩხენკელმა და Microsoft-ის ევროპის ოფისის მენეჯერმა, მიროსლავ დვორაკმა.

Microsoft საქართველოს წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროექტის - Minecraft Education Edition პრეზენტაცია წარმოადგინეს და, მინისტრთან ერთად, საჯარო სკოლებში მისი დანერგვის შესაძლებლობებზე იმსჯელეს. Minecraft Education Edition – თამაშზე დაფუძნებული მანათლებლო პლატფორმა, რომელსაც სკოლის პედაგოგები სხვადასხვა საგნის სწავლების დროს იყენებენ, ხელს უწყობს მოსწავლეებში სივრცითი, ლოგიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

პირველ ეტაპზე, Minecraft Education Edition-ის საშუალებით პროგრამირების სწავლება საპილოტე რეჟიმში დაიწყება და, შემდგომ ეტაპზე, ჰუმანიტარულ საგნებსაც მოიცავს. საპილოტე სკოლებისთვის პედაგოგების გადაამზადება უკვე დაწყებულია.



# რას ნიშნავს იყო კარგი საგანმანათლებლო ლიდერი – გაიცანით სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები



**მორის დანდურიშვილი**
სსიპ ქალაქ ხაშურის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ პირველ რიგში, ვულოცავ ყველა ფინალისტს! მათი საგანმანათლებლო ლიდერობის პრაქტიკული მაგალითები, ვფიქრობ, ბევრ დირექტორს დაეხმარება საკუთარი საქმიანობის წარმართვაში.

◆◆ ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტებს შორის ჩემი სახელისა და გვარის გაჟღერებამ ძალიან გამახარა! სკოლის დირექტორის მსგავსი აღიარება ეროვნულ დონეზე, საქართველოში, ჯერ არ მომხდარა. სწორედ ამიტომ, დიდი სიხარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობა ერთდროულად დამეუფლა!

◆◆ ლიდერობის ეროვნული კონკურსის ორგანიზატორები და ჟიური პროფესიონალი და ავტორიტეტული ადამიანებით არის წარმოდგენილი. სწორედ ეს სძენს ლიდერობის ეროვნულ კონკურსს დიდ მნიშვნელობას. მათ მიერ საგანმანათლებლო ლიდერის აღიარება და წარმოჩენა სკოლის დირექტორებისთვის დამატებითი მოტივატორია. კონკურსი წარმოაჩენს არა „მენეჯერ დირექტორს", არამედ „საგანმანათლებლო ლიდერს". სწორედ საგანმანათლებლო ლიდერს შეუძლია შეუწყოს ხელი სკოლაში და ზოგადად თემში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

◆◆ საგანმანათლებლო ლიდერობა „ერთის" საქმის კეთებას არ ნიშნავს (რამდენადაც კარგად უნდა გამოსდიოდეს ეს საქმე მხოლოდ დირექტორს). წარმატებული ლიდერის გვერდით დგას მოტივირებული მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. ვინაიდან მოცემული კონკურსი ამგვარ ლიდერებს წარმოაჩენს, შესაბამისად, მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სკოლის მოქმედი დირექტორებისთვის, ასევე დირექტორობის მსურველებისთვის.

◆◆ ლიდერობის ეროვნულ კონკურსში ჩემი ჩართულობით, გარკვეულწილად, საკუთარი ხუთწლიანი საქმიანობის რეფლექსია მოვახდინე. კომპეტენტური ჟიურის უკუკავშირი, მე და ხაშურის №1 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებას, დაგვეხმარება მომავალი საქმიანობის ბევრად ეფექტურად წარმართვაში.

◆◆ ამიტომ, მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს ამგვარი კონკურსის განხორციელებისთვის. მადლობა ჟიურის თითოეულ წევრს გაწეული შრომისთვის, ჩვენდამი გამოცხადებული ნდობისთვის და მინდა დავპირდე, რომ ჩვენ თქვენს ნდობას გავამართლებთ!



**ნინო წიფიანი**
წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ პირველი, რაც გავიფიქრე, იყო, რომ მაგარია, მაღიარეს, დაინახეს, შემაფასეს და სიმართლე გითხრათ, ეს გამოწვევადაც მივიღე, რადგანაც ასეა, რაც ჩაფიქრებული მაქვს, ყველაფერი უნდა შევძლო, სკოლის წინსვლისა და განვითარებისთვის.

◆◆ სულ მქონდა განცდა, რომ სოფლის სკოლები შეუმჩნეველია ფართო საზოგადოებისთვის, თითქოს სადღაც, მიღმაა დარჩენილი პატარა სკოლები, ვერავინ ამჩნევს მათ მიღწევებსა და წარმატებებს. განათლების კოალიციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით გამოცხადებული სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის მიზანი საჯარო სკოლის პრესტიჟისა და ავტორიტეტის ზრდის მხარდაჭერაა, ასევე, წარმატებული დირექტორების გამოვლენა და მათი გაცნობა საზოგადოებისთვის. ვფიქრობ, მსგავსი კონკურსების გამოცხადება ხელს შეუწყობს სკოლის მართვის პრაქტიკის განვითარებას და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებას სკოლებში, ზრდის სანდოობას სკოლების მიმართ, გააქტიურებს სასკოლო თემს, შეიქმნება ადგილობრივი გარემოსთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატი, რაც მთავარია, მოსწავლეს ექნება განცდა, რომ ის სწავლობს პრესტიჟულ სკოლაში, სადაც შექმნილია უნიკალური და თვითმყოფადი გარემო, სადაც ბავშვი ვითარდება, უყალიბდება ღირებულებათა სისტემა და სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. დაიმსხვრევა გამონათქვამთა მნიშვნელობა, რომ "ყველაფერი ჩაწყობითაა".

◆◆ ვფიქრობ, ფინალისტთა შორის აუცილებლად მოვხვდებოდი, რადგან აპლიკაციაში კარგადაა ასახული ჩემი, როგორც ლიდერის უნარები, კერძოდ: სკოლის დირექტორის როლი ინდივიდუალურია ყველა სკოლისთვის. სკოლის ეფექტურობა პირდაპირპროპორციულია სკოლის დირექტორის საქმიანობისა და როლის. სკოლის დირექტორი არის საგანმანათლებლო ლიდერი, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს წარმატების მიღწევაში. სკოლის დირექტორი: ქმნის სკოლის ისეთ კულტურასა და საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლას და თანამშრომლების პროფესიულ ზრდა-განვითარებას; ქმნის უსაფრთხო გარემოს; თანამშრომლობს ოჯახებთან და თემის წარმომადგენლებთან; მზად არის სიახლეების მისაღებად; აღიარებს და აფასებს წარმატებას და აცნობიერებს პრობლემას; შეუძლია რესურსების მოძიება-მართვა; აქვს იუმორის გრძნობა; შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მართვა კრიტიკულ სიტუაციაში.

◆◆ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კარლ როჯერსი ამბობდა: „მინდა სკოლა მეგობრულ სახლად ვაქციო, რომელშიც თითოეულ ბავშვს შეეძლება საკუთარი სამყაროს შემოტანა". მე ვფიქრობ, ჩვენი სკოლა ძალიან ახლოსაა ასეთ სკოლასთან. ჩვენ თითოეულ ბავშვს პატივს ვცემთ, ჩვენი მთავარი ამოცანაა უსაფრთხო გარემოს შექმნა.

◆◆ პრინციპები, რითაც ვხელმძღვანელობ ყოველდღიურ საქმიანობაში, არის: თანამშრომლობა; გუნდურობა; თვითრწმენა; გამბედაობა; თავდაუზოგავი შრომა; თვითდისციპლინა; ქარიზმატულობა; საქმის უპირობო სიყვარული; ძლიერი, მიზანდასახული გუნდი.



**გელა მაჭარაშვილი**
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის№2 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ამბავი მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის, ვინაიდან ყველაზე კარგი შემფასებელი საკუთარი თავისა და საქმიანობისა ადამიანი თვითონვეა. მიუხედავად ამისა, ემოციური დატვირთვა საკმაოდ დიდია, როცა გილოცავენ, როცა აცნობიერებ, რომ ეს აღიარებაა, ნდობაა, იმ საქმის გამართლებაა, რომელსაც მთელი შეგნებული სიცოცხლე ემსახურები, ბუნებრივია, გიხარია.

◆◆ დღეს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც ბატონი შალვა ამონაშვილი ამბობს, „გადასარჩენია ბავშვი". ამ საქმეს მრავალი ადამიანი ემსახურება სხვადასხვა პოზიციიდან, ვცდილობთ საქმის კეთებას. ბევრია გულანთებული, ბავშვის მოყვარული პროფესიონალი აღმზრდელი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ამ საქმეს წარმატებით ართმევს თავს, ყველანი ჩემი თანამებრძოლები არიან. ყველაზე დიდი ჯილდო, ენერგიისა და იმედის მომცემია, როდესაც გამოგარჩევენ, მადლობას გეტყვიან.

◆◆ დიდი საქმე ხანდახან უხმაუროდ კეთდება, განათლების კოალიცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს ხვალინდელ პედაგოგს, სკოლის ლიდერს. ამას საზოგადოება ჯერ სრულად ვერ ხედავს, როგორც მხოლოდ მეფუტკრემ იცის, რომ მთაში წაყვანილი მუშა ფუტკრიდან უკან ცოცხალი არც ერთი არ დაბრუნდება და ყველაფერს აკეთებს ახალი სიცოცხლის ხელშესაწყობად, ასევეა ჩვენთანაც, ხვალ სკოლაში უნდა შემოვიდეს ახალი მასწავლებელი, ახალი დირექტორი, ახალი მნაფავი. მე ყველაფერს ვაკეთებ ამისათვის, აქ ვართ თანამოაზრე და თანამებრძოლები. მგონი, ჟიურიმაც ეს დაინახა.



**მარინა ისკაკოვა**
ქ. ქუთაისის №33 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ ლიდერობის კონკურსის ათეულში მოხვედრის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ჩემი დირექტორობის 6-წლიან პერიოდში შევძელი დასაწყისში ჩემ მიერ დასახული სამოქმედო გეგმის, ამოცანების შესრულება. ძალიან დასაფასებელია, რომ სკოლის და ჩემი საქმიანობის აღიარება მოხდა. ქუთაისის N33 საჯარო სკოლა მთელმა საქართველომ გაიცნო. ეს არის არა მხოლოდ ჩემი, არამედ სკოლაში მომუშავე მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შრომის დაფასება.

◆◆ სკოლის ლიდერობის ეროვნულ კონკურსში მონაწილეობის მიზანი იყო: ქუთაისის №33 საჯარო სკოლის პრესტიჟის ზრდის მხარდაჭერა ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციისგან, როგორიცაა განათლების კოალიცია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჩემი თავდაუზოგავი საქმიანობის, როგორც წარმატებული დირექტორის გამოვლენა და გაცნობა საზოგადოებისათვის; ჩემი სკოლის მართვის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა და ჩემი გამოცდილების გაზიარება. რა თქმა უნდა, პრიზი იქნება საკმაოდ მსხვილი დოტაცია და მხარდაჭერა სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებისათვის, დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

◆◆ ჩემს აპლიკაციაში ვსაუბრობდი, თუ როგორ მოვახერხე ერთ-ერთი პერიფერიული სკოლის განვითარება და მისი პრესტიჟის ამაღლება და როგორ გახდა ეს სკოლა უბნის თემისათვის სასურველი და მიმზიდველი. ჩემი აზრით, ჟიურიმ, ალბათ, ისიც გაითვალისწინა, რომ ჩემი დირექტორობის დროს შესამჩნევად ამაღლდა სწავლა/სწავლების ხარისხი, ინოვაციური მიდგომების გამოყენების საფუძველზე, რომელთა ინიციატორი და დამნერგავი ვიყავი მე, როგორც სკოლის ლიდერი. ალბათ, წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენ გვაქვს აღებული გეზი სასკოლო სივრცეში პროფესიული განათლების დანერგვისკენ, რაც სკოლას მოსწავლეების შრომითი უნარ-ჩვევების განვითარების კერად აქცევს ქალაქში.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.